სოფლად ტურიზმის სახელმძღვანელო

2025

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოში სოფლად მცხოვრები თუ დასაქმებული ადამიანებისთვის, რომლებიც სოფლად ტურიზმის საქმიანობის დაწყებასა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებას გეგმავენ. სახელმძღვანელოში მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები და ნაბიჯები წარმატებული ტურისტული ინიციატივების შესაქმნელად, რომლებიც წარმოაჩენს ადგილობრივი გარემოს უნიკალურ მახასიათებლებს და ხელს უწყობს მათ მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებას.

ციტირებისთვის: კავკასიის ალიანსების პროგრამა 2 - ALCP2. სისვაძე ნ. (2025). *სოფლად ტურიზმის სახელმძღვანელო.* თბილისი, საქართველო. რედაქტირებულია ჰელენ ბრედბერის მიერ.

ფოტომასალა: ჰ. ბრედბერი, ლ. ხვიჩია, ე. ჩიკვაიძე, ნ. ურუშაძე, ნ. სისვაძე, ჯ. გრანტი

სარჩევი

შესავალი 6

რა არის სოფლად ტურიზმი 7

სოფლად ტურიზმის სახეობები 8

როგორ დავიწყოთ სოფლად ტურიზმი 9

ჩამოაყალიბეთ თქვენი ხედვა 9

შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები 9

თქვენი გარემოს უნიკალურობის გააზრება 11

რა გამოარჩევს თქვენს დასახლებას? 11

ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების პოტენციალის გამოყენება 11

სოფლის გარემოს იერსახის შენარჩუნება 13

სოფლად თქვენი გარემოს დაცვა 15

თქვენი უფლება-მოვალეობები 15

დაგეგმვა და შესაძლებლობების შეფასება 17

ბაზრის კვლევის ჩატარება 17

ბიზნესგეგმის მომზადება 17

მარკეტინგი და რეკლამა 19

მარკეტინგული სტრატეგიისა და მარკეტინგული გეგმის შემუშავება 19

თქვენი ბიზნესის ბრენდინგი 21

როგორ გიპოვონ 25

იდეები სოფლად ტურიზმისთვის 27

მაგალითი 1: ფერმერული ცხოვრება იმერეთში 27

მაგალითი 2: ეკოტური სამცხე-ჯავახეთში 27

მაგალითი 3: მეაბრეშუმეობა კახეთში 28

მაგალითი 4: ფუტკრების ცხოვრება გურიაში 28

თქვენი პოტენციური პარტნიორები 29

უსაფრთხოება 31

ფერმერული მეურნეობის შიდა უსაფრთხოება 31

ველურ ბუნებაში აქტივობების უსაფრთხოება 32

დანართი 1: მარტივი ბიზნესგეგმა სოფლად ტურიზმის საქმიანობისთვის 33

დანართი 2: მარტივი მარკეტინგული გეგმა სოფლად ტურიზმის საქმიანობისთვის 34

დანართი 3: Facebook, Instagram და YouTube-ის გამოყენება 35

დანართი 4: Google Maps-ზე ობიექტის დამატება 36

შესავალი

ტურიზმი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. 2025 წელს, ქვეყანას 7.8[1] მილიონი ვიზიტორი სტუმრობდა, მათ მიერ დახარჯული თანხა კი 15 მილიარდ ლარს შეადგენს. ყოველწლიურად იზრდება იმ ტურისტების რაოდენობა, რომლებიც საქართველოს რეგიონებს სტუმრობენ ბუნების მრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ობიექტებისა და ადგილობრივი ცხოვრების უკეთ გასაცნობად.

ამასთან ერთად, იზრდება ინტერესი სოფლად დასახლებების მიმართ. ტურისტები სულ უფრო ხშირად ეძებენ ავთენტურ გამოცდილებას — სურთ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებსა და ყოველდღიურ ცხოვრებას. სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს სოფლად ტურიზმი, რომელიც სტუმრებს საშუალებას აძლევს უშუალოდ ჩაერთონ სოფლის ცხოვრებაში და მიიღონ ნამდვილი, ადგილობრივ გარემოზე დაფუძნებული გამოცდილება.

სოფლად ტურიზმი, როგორც წესი, მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმით ვითარდება და ქმნის დამატებით ეკონომიკურ შესაძლებლობებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. ბოლო წლებში, ინტერნეტისა და სოციალური მედიის განვითარებამ კიდევ უფრო გაამარტივა ამ სფეროში ჩართვა — ადგილობრივებს შეუძლიათ თავად მოიზიდონ სტუმრები, გაავრცელონ ინფორმაცია და მართონ ჯავშნები.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს სოფლად მცხოვრებ ადამიანებს სოფლად ტურიზმის განვითარებაში და მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, ისეთი ტურისტული შეთავაზებების შექმნაში, რომლებიც ეფუძნება გარემოს, ბიომრავალფეროვნებასა და სოფლის რესურსებს.

[1] *ტურიზმის სტატისტიკა 2025, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2025 (ლინკი)*

რა არის სოფლად ტურიზმი

სოფლად ტურიზმი არის ტურიზმის სახეობა, რომელიც ვითარდება სოფლად და ვიზიტორებს აძლევს შესაძლებლობას გამოცადონ ადგილობრივი ცხოვრება ქალაქისგან მოშორებით. როგორც წესი, ამ ტიპის ტურიზმი ვითარდება სოფლებში, სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში ან ბუნებრივად მდიდარ ლანდშაფტებში, სადაც შემორჩენილია ტრადიციული ცხოვრების წესი. სოფლად ტურიზმი მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, ბუნებრივ გარემოსთან, ადგილობრივ კულტურასთან და სოფლის ტრადიციული ცხოვრების წესთან. *(მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია UNWTO).*

სოფლად ტურიზმის ყველაზე **მნიშვნელოვანი საფუძველი ავთენტურობა** - ანუ ნამდვილი, ადგილობრივი გამოცდილების შეთავაზება. სწორედ ამაზე დგას სოფლად ტურიზმი. როგორც წესი იგი ეფუძნება ბუნებისადმი პასუხისმგებლიან, მდგრად მიდგომას და რამდენიმე პრაქტიკულ მახასიათებელს:

- სოფლად ტურიზმი, როგორც წესი, მცირე მასშტაბით ვითარდება და მნიშვნელოვანი დაცული იყოს სოფლის ბუნებრივი და კულტურული გარემო;

- ეს საქმიანობა ეფუძლება იმ რესურსებს, რაც ადგილობრივებს უკვე აქვთ: სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანის თუ წარმოების საქმიანობას, ტრადიციულ კერძებს, ხელნაკეთობებს, ადგილობრივ დღესასწაულებსა და ყოველდღიურ სოფლის ცხოვრებას;

- ხშირად სოფლად ტურიზმი, სეზონურია და დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის სამუშაოების ციკლზე და ბუნებრივ პირობებზე.

- ამ ტიპის ტურიზმში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იყოს საქმიანობის განმახორციელებელიც სარგებლის მიმღებიც.

საქართველოში, განსაკუთრებით მთიან და აგრარულ რეგიონებში სოფლად ტურიზმს აქვს პოტენციალი იქცეს რეგიონული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად, რადგან ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება, უძველესი ტრადიციები და ძლიერი სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობა იზიდავს ავთენტურ და ბუნებაზე დაფუძნებულ გამოცდილებების მაძიებელ მოგზაურებს და ქმნის უამრავ შესაძლებლობებს მათ შორის დასაქმების, დამატებითი შემოსავლის მიღებისა და ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციას მხრივ.

სოფლად ტურიზმის სახეობები

აგროტურიზმი

აგროტურიზმი ტურიზმის სახეობაა, რომელიც ხორციელდება ფერმერულ მეურნეობაში და მოიცავს: ტურისტების მიღებას, კვებას, მათთვის სოფლის ცხოვრების წესის, კულტურის, ადგილობრივი ტრადიციებისა და ღირსშესანიშნაობების გაცნობას, მათ ჩართვას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მათთვის ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებას და ტურიზმსა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის განხორციელებას *(საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ, 2023)*.

აგროტურიზმი სტუმრებს საშუალებას აძლევს ახლოდან გაეცნონ ფერმერულ, სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების ცხოვრებას და პრაქტიკაში ნახონ ტრადიციული მეურნეობა, ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოება, ასევე მონაწილეობა მიიღონ ყოველდღიურ საქმიანობებში, როგორიცაა მოსავლის აღება, ცხოველების გამოკვება ან კულინარიული მასტერკლასები.

ეკოტურიზმი

ეკოტურიზმი ტურიზმის სახეობაა, რომლის მიზანია ბუნებისა და ბუნებრივ არეალში ტრადიციული კულტურებისა და საქმიანობების შეცნობა, შეფასება ან/და ამ მიზნით ტურისტული საქმიანობის განხორციელება *(საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ, 2023)*.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას განსაკუთრებული პოტენციალი აქვს ეროვნული პარკების, დაცული ტერიტორიებისა და ბუნების ძეგლების სიახლოვეს, სადაც ლანდშაფტების მრავალფეროვნება და ბუნებრივი სილამაზე იზიდავს ვიზიტორებს, ბუნებისა და ადგილობრივი ეკოსისტემების ახლოს გასაცნობად. ეკოტურიზმი სოფლად მცხოვრებთათვის შეიძლება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკოტურიზმი ბუნებასა და გარემოს დაცვაზეა ორიენტირებული, რეგიონებში ის ხშირად იკვეთება აგროტურიზმთან. ამ ორი ტიპის ტურიზმის კომბინაცია სტუმრებს უფრო მდიდარ და მრავალფეროვან გამოცდილებას აძლევს, ხოლო ადგილობრივ თემებს — უფრო მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს.

სოფლად ტურიზმის სხვა სახეობები

აგრო და ეკოტურიზმის გარდა, საქართველოში სოფლად შესაძლებელია ისეთი მრავალფეროვანი ტურისტული გამოცდილებების შეთავაზება, რომლებიც ადგილობრივ ცხოვრების წესს, ბუნებასა და ტრადიციებს ასახავს.

კულტურული ტურიზმი

კულტურული ტურიზმი სტუმრებს აძლევს შესაძლებლობას დაათვალიერონ ქვეყნის მრავალფეროვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლები, მუზეუმები, გაეცნონ ადგილობრივ ხელოვნებას, არქიტექტურას, მონაწილეობა მიიღონ ფესტივალებსა და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში. აღნიშნული საშუალებას აძლევს მოგზაურს უკეთ გაეცნოს ერის კულტურას, ისტორიას და ტრადიციებს.

სათავგადასავლო და სოფლად სპორტული ტურიზმი

ტურიზმის ეს მიმართულება მოიცავს გარე და ფიზიკურ აქტივობებს, როგორიცაა ლაშქრობა, სამთო ველოსპორტი, ცხენოსნობა, კლდეზე ცოცვა, თევზაობა, ნადირობა ან კემპინგი. ამ ტიპის აქტივობები იზიდავს აქტიურ ტურისტებს, რომელთაც სურთ ბუნების აღმოჩენა და ტრადიციული სპორტის სახეობების გამოცდილება.

გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ტურიზმი

ამ ტიპის ტურიზმი ფოკუსირებულია ჯანმრთელობაზე, განტვირთვასა და კეთილდღეობაზე, მშვიდ სოფლის გარემოში. ის შეიძლება მოიცავდეს აპითერაპიას, იოგას, სპა-პროცედურებს, მცენარეებით მკურნალობას, ფრინველების დაკვირვებას, ფოტოგრაფიას ან უბრალოდ ბუნებრივი გარემოს სიმშვიდით ტკბობას.

როგორ დავიწყოთ სოფლად ტურიზმი

თუ ცხოვრობთ სოფელში, გაქვთ სახლი, ამუშავებთ მიწას, გყავთ შინაური ცხოველები და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით ხართ დაკავებული ან თქვენი სოფელი მდებარეობს ეკოლოგიურად მრავალფეროვან და საინტერესო ზონაში, ეს უკვე საკმარისი პირობაა სოფლად ტურიზმის საქმიანობის დასაწყებად. წინამდებარე თავში წარმოდგენილია ძირითადი ეტაპები და რეკომენდაციები, რომლებიც დაგეხმარებათ წარმატებული სოფლად ტურიზმის საქმიანობის წამოწყებასა და მართვაში.

ჩამოაყალიბეთ თქვენი ხედვა

საქმიანობის დაწყებამდე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსაზღვროთ თქვენი მიზნები და დაადგინოთ, თუ რა ტიპის ტურისტული გამოცდილების შეთავაზება გსურთ. ამ მიზნით, საკუთარ თავს ჰკითხეთ:

რა არის თქვენი ძირითადი მოტივაცია?	**ვინ იქნებიან თქვენი ვიზიტორები?**	**რას შესთავაზებთ?**
დამატებითი შემოსავლის მიღება, პროდუქციის რეალიზაცია ტურისტებზე, ტრადიციებისა და სოფლის ცხოვრების გაზიარება სტუმრებისთვის და სოფლის პოპულარიზაცია.	მაგ: ოჯახები ბავშვებით, ეკო-მოგზაურები და ბუნების მოყვარულები, თავგადასავლების მაძიებლები, უცხოელი ტურისტები, გურმანები თუ ციფრული მომთაბარეები[2].	მაგ: განთავსება, ბუნებაში გასეირნება, ვორქშოფები, კულინარიული გამოცდილება თუ პრაქტიკული აქტივობები მაგალითად მოსავლის აღებაში მონაწილეობის მიღება.

შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები

ხედვის ჩამოყალიბების შემდეგ, შეაფასეთ არსებული რესურსები. ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რა გაქვთ უკვე, რა არის უკვე შესაძლებელი და რა საჭიროებს გაუმჯობესებას ან შემდგომ განვითარებას.

მატერიალური რესურსები

- რა ინფრასტრუქტურა გაქვთ? (სასტუმრო ოთახები, სველი წერტილი, ეზო თუ სხვა)
- როგორია ინფრასტრუქტურის ამჟამინდელი მდგომარეობა?
- საჭიროა თუ არა რომელიმე სივრცის შეკეთება ან განახლება, ვიზიტორების უსაფრთხოდ და კომფორტულად მისაღებად?
- აქვს თუ არა თქვენს საკუთრებას რაიმე განსაკუთრებული ან უნიკალური თვისება, რაც სტუმრებს დააინტერესებთ? (არქიტექტურა, მდებარეობა, მოსავალი, კერძები)

ფინანსური რესურსები

- გაქვთ თუ არა დანაზოგი ან სხვა ფინანსურ რესურსებზე წვდომა?
- სესხი აღება ხომ არ იქნება საჭირო? თუ კი, როგორ შეძლებთ მის დაფარვას მომავალში მიღებული ტურისტული შემოსავლის დახმარებით?

ადამიანური რესურსები

- გაქვთ თუ არა თქვენ ან თქვენს ოჯახს საჭირო უნარები ტურისტების მისაღებად? (მასპინძლობა, კომუნიკაცია, უცხო ენები).
- თუ არა, შეძლებთ განივითაროთ საჭირო უნარები ტრენინგების გზით, ან დაიქირავოთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები?

---

2 ციფრული მომთაბარეები — დისტანციურად დასაქმებული პირები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ონლაინ ფორმატში, მოგზაურობის პარალელურად და არ არიან მიბმული ერთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

თქვენი გარემოს უნიკალურობის გააზრება

რა გამოარჩევს თქვენს დასახლებას?

სოფლად ტურიზმის წარმატებული საქმიანობის დასაწყებად, აუცილებელია, თქვენი გარემოს (იქნება ეს ფერმერული მეურნეობა, სასტუმრო თუ სხვა) მატერიალური რესურსების, მისი უნიკალური მახასიათებლებისა და შესაძლებლობების საფუძვლიანად შეფასება. ჰკითხეთ საკუთარ თავს: **რა აქვს ამ ადგილს განსაკუთრებული?** დაიწყეთ იმ თავისებურებების ჩამოთვლით, რომლებიც თქვენს ობიექტს სხვებისგან გამოარჩევს. ეს შეიძლება იყოს ისტორიული შენობები, ტრადიციული არქიტექტურა, შთამბეჭდავი ლანდშაფტები ან ხედები, კულტურულ ან ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებთან სიახლოვე, ადგილობრივი პროდუქტები და სხვა. იფიქრეთ, რა ტიპის აქტივობებს შეუწყობს ხელს ეს სპეციფიკური მახასიათებლები: მაგალითად, ტურების ორგანიზება, მასტერკლასები, დეგუსტაცია ან ბუნებაში გასეირნება.

შეფასების პროცესში ჩართეთ ოჯახის წევრები და მეგობრები, რათა სხვადასხვა პერსპექტივიდან დაინახოთ, რა შესაძლებლობები აქვს თქვენს პოტენციურ ტურისტულ საქმიანობას. სწორედ ამ ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით უნდა დაგეგმოთ თქვენი საქმიანობა.

ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების პოტენციალის გამოყენება

ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება სოფლად ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, რომელიც ქმნის მრავალფეროვან გარემოს ისეთი აქტივობებისა და გამოცდილებებისთვის, რომელიც ეკოლოგიურ მემკვიდრეობას წარმოაჩენს. საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტები გამოირჩევა ადგილობრივი მცენარეებისა და ცხოველების უნიკალური სახეობებით, ასევე განსაკუთრებული ბუნებრივი ჰაბიტატებით. ამ ბუნებრივი სიმდიდრის სწორად გამოყენება დაგეხმარებათ, თქვენი ტურისტული მომსახურება უფრო მიმზიდველად წარმოაჩინოთ.

გახსოვდეთ, რომ ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია, რომლის გამოყენებითაც შეგიძლიათ უნიკალური ტურისტული შეთავაზებების შექმნა. სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის ეს მიდგომა მხოლოდ ტურისტული ობიექტების შექმნას არ ნიშნავს. ეს გულისხმობს არსებული ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, საკუთარი ისტორიის გაზიარებასა და ამ გარემოს მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებას.

დაცული ტერიტორიების შესწავლა დაგეხმარებათ უკეთ გაიაზროთ თქვენი გარემო, მისი ბუნებრივი რესურსები და სოფლად ტურიზმისთვის საინტერესო იდეების დაგეგმვოთ. ეწვიეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს (APA) ვებსაიტს, სადაც მოცემულია ინფორმაცია თქვენი რეგიონის ფლორისა და ფაუნის შესახებ.

თუ დაცული ტერიტორიის მახლობლად ცხოვრობთ, ეწვიეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს (APA) ვებსაიტს და გაეცანით თქვენი არეალის ბიომრავალფეროვნებას. საიტი მოიცავს საქართველოს ყველა დაცულ ზონას და დეტალურად აღწერს ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას, ჰაბიტატებს, იშვიათ ან ენდემურ სახეობებს და მათი კონსერვაციის სტატუსს. დაფიქრდით: როგორ შეიძლება გამოიყენოთ ეს ინფორმაცია თქვენი ტურისტული საქმიანობის წამოსაწყებად.

APA.GOVE.GE/BIODIVERSITY

სოფლის გარემოს იერსახის შენარჩუნება

ტურისტები სოფლად ტურიზმს ძირითადად იმიტომ ირჩევენ, რომ სურთ ნამდვილი, ავთენტური გამოცდილება - ისეთი, რომელიც ყოველდღიურ ურბანულ ცხოვრებას არ ჰგავს. საქართველოში ეს ნიშნავს სოფლის ბუნების სიმშვიდეში ყოფნას, ადგილობრივი ტრადიციების გაცნობას, ბუნებასა და კულტურასთან დაკავშირებას, რომელიც თანამედროვე ცხოვრების ტენდენციების გავლენისგან ხელშეუხებელია. სწორედ ამიტომ, თქვენი მეურნეობისა და სოფლის ავთენტური იერსახის შენარჩუნება არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ **აუცილებელიცაა**.

სამწუხაროდ, ბევრ სოფელს ან სოფლის ტიპის დასახლებას საფრთხეს უქმნის იაფფასიანი და ხელოვნური, ადგილობრივი გარემოსთვის შეუსაბამო რეკონსტრუქცია, რომელიც სახლებსა და საოჯახო სასტუმროებს ურბანულ იერს სძენს. როდესაც თქვენი საკუთრება ზედმეტად თანამედროვეა და ადგილობრივ არქიტექტურულ სტილს სცდება, ის კარგავს იმ მთავარ ავთენტურ ხიბლს, რაც სტუმრებს ასე იზიდავს. ამიტომ, მნიშვნელოვანია შეინარჩუნოთ სოფლის გარემოს ის უნიკალურობა, ხიბლი და განსაკუთრებული მახასიათებლები, რომლებიც თქვენს სოფელს გამორჩეულს ხდის.

ნებისმიერი რეკონსტრუქციის დროს, გამოიყენეთ ბუნებრივი მასალები: ქვა, ადგილობრივი ხის მასალა, ტრადიციული თიხა, ზუსტად ისე, როგორც ამას წინა თაობები აკეთებდნენ.

თუ ძველი სახლის რეკონსტრუქციას გეგმავთ, მაქსიმალურად შეინარჩუნეთ მისი ორიგინალი დეტალები: ფანჯრები, ხის ბოძები, კარები, არსებული დაგეგმარება. მოერიდეთ სოფლის სახლის თანამედროვე ტიპის ბინად გარდაქმნას. **პლასტმასის, ხელოვნური ქვის ან პრიალა მასალების, იმიტაციების გამოყენება სერიოზული შეცდომაა, რომელიც სივრცეს ავთენტურობას უკარგავს.**

თუ რაიმე ახალს აშენებთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ ახალი ნაგებობა ვიზუალურად შეესაბამებოდეს სოფლის საერთო იერსახეს. ეს არ ნიშნავს კომფორტზე უარის თქმას, არამედ მის ისე შეთავაზებას რომ შენარჩუნდეს სივრცის ავთენტურობა და ადგილობრივი სტილის თავისებურებები. თანამედროვე კომუნალური სერვისები, როგორიცაა ელექტროენერგია, ინტერნეტი და წყალმომარაგება, აუცილებელია, თუმცა მათი ინტეგრირება შესაძლებელია შეუმჩნევლად, ისე, რომ შენობის ტრადიციული იერსახე და ატმოსფერო არ დაირღვეს.

სოფლის ავთენტური იერსახის შენარჩუნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ტრადიციული ცოდნისა და უნარების გამოყენება. საქართველოს აქვს მდიდარი აგრარული მემკვიდრეობა - უძველესი მეღვინეობის ტექნოლოგიებიდან დაწყებული, ქვეყნის თითოეულ რეგიონში მრავალფეროვანი ტრადიციული პროდუქტებით დასრულებული

ტურისტებსს მოსწონთ ამ ცოდნისა და უნარების გაცნობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამის შესაძლებლობას პრაქტიკული, უშუალო ჩართულობით იღებენ.

შეგიძლიათ ვიზიტორები ჩართოთ ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა თონეში პურის ცხობა, ტრადიციული კერძების მომზადება ან სეზონური სამუშაოები, მაგალითად, რთველი. ხელსაქმის მასტერკლასები: თიხის ნაკეთობების დამზადება, ძაფის დართვა, კალათების დაწვნა, ჩურჩხელის მომზადება და სხვა ხელს უწყობს ტრადიციების შენარჩუნებას, სტუმრებისთვის ქმნის საინტერესო გამოცდილებას და ამყარებს კავშირს კულტურულ მემკვიდრეობასა და სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებას შორის.

გამოკვეთეთ თქვენი სივრცის ხასიათი სწორად შერჩეული დეტალებით. შეარჩიეთ ხელნაკეთი ან აღდგენილი ავეჯი, რომელიც ადგილობრივ მემკვიდრეობას ასახავს. გამოიყენეთ ბუნებრივი ქსოვილები სინთეტიკის ნაცვლად, ტრადიციული ორნამენტები და თქვენი რეგიონის კულტურაზე აგებული დეკორი მასობრივად წარმოებული ნივთების ნაცვლად. ასეთი დეტალები ქმნის მყუდრო, მიმზიდველ ატმოსფეროს და ინარჩუნებს სოფლის გარემოს ნამდვილ ხიბლს.

და ბოლოს, გახსოვდეთ, რომ **თქვენი მეურნეობა და ტურისტული საქმიანობა უფრო ფართო გარემოს ნაწილია.** ყველაფერი, რასაც აკეთებთ, გავლენას ახდენს სტუმრების მიერ ტერიტორიის საერთო აღქმაზე.

დააფასეთ და დაიცავით თქვენი გარემო, ამით დაეხმარებით თქვენს სოფელსა თუ სხვა ტიპის დასახლებას რომ დარჩეს ადგილად, რომელსაც არა მხოლოდ ერთჯერადად სტუმრობენ, არამედ კვლავ დიდი სიხარულით უბრუნდებიან.

გახსოვდეთ:

შეინარჩუნეთ ბუნებრიობა! ტურისტები მოდიან იმისთვის, რომ შეიგრძნონ სოფლის ავთენტური გარემო და არა პლასტმასის ავეჯი და ხელოვნური დეკორი. გამოიყენეთ ადგილობრივი მასალები, შეაკეთეთ ძველი ნივთები და თქვენი სივრცე თავისი სიძველითა და სიმარტივით სტუმრებს თავად მოუყვება ნამდვილ ისტორიას.

სოფლად თქვენი გარემოს დაცვა

სოფლის ტიპის დასახლების იერსახის შენარჩუნება მხოლოდ თქვენი საკუთრების, მაგალითად, საოჯახო სასტუმროს ან ეზოს მოწყობით და მოვლით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში მიმდინარე უფრო მასშტაბური განვითარებაც — მუნიციპალური გეგმები, გზების მშენებლობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოება თუ მსხვილი სამშენებლო პროექტები - არ არღვევდეს თქვენი სოფლის ავთენტურ იერსახეს, ბუნებრივ გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას. საქართველოში უკვე არაერთ ადგილას შეინიშნება შემთხვევები, როცა არასწორად დაგეგმილმა სარეაბილიტაციო სამუშაოებმა ან მასშტაბურმა საინვესტიციო პროექტებმა მნიშვნელოვნად შეცვალა, ზოგ შემთხვევაში სრულად გაანადგურა ადგილობრივი არქიტექტურული იდენტობა, რომელიც სწორედ თავისი უნიკალური იერსახით იზიდავდა ტურისტებს.

სოფლად მცხოვრები თოთოეულ მოსახლის უფლებაა მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაიცვას საკუთარი გარემო საზიანო ქმედებისგან. ეს უფლებები უზრუნველყოფს, რომ თქვენი რეგიონის უნიკალური ხიბლი, ტრადიციები და ბუნებრივი სილამაზე არ დაზიანდეს არამდგრადი განვითარების ან ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული გამოყენების შედეგად.

თქვენი უფლება-მოვალეობები

თქვენი გარემოსდაცვითი უფლებების გაცნობიერება არის პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ცვლილებებისთვის. საქართველოს კონსტიტუცია თითოეულ პირს ანიჭებს ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების უფლებას, ასევე უფლებას მიიღოს ინფორმაცია და ჩაერთოს იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

დასვი კითხვები

ჩაერთე გადაწყვეტილებებში

დაიცავი

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში ჩართულობა	გარემოსდაცვითი სამართლიანობა
ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება სახელმწიფოსგან მოითხოვოს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია და მიიღოს დროული, სრულყოფილი პასუხი. **ახსნა-განმარტება საჭირო არ არის; უბრალოდ იკითხეთ - ეს უკვე საკმარისია.**	ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გამოხატოს თავისი აზრი და ჩაერთოს იმ გადაწ-ყვეტილებების მიღებაში, რომლებიც გარემოს ეხება — იქნება ეს მიწა, წყალი, ჰაერი, ნარჩენები თუ ბუნებრივი რესურსები	ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იმოქმედოს გარემოს დაცვისთვის — იქნება ეს საკუთარი პოზიციის გამოხატვა, დაგეგმვის პროცესებში ჩართვა თუ საზიანო ქმედებებსა თუ პროექტებზე რეაგირება

გარემოსდაცვითი უფლებების ცოდნა და მოსახლეობის ჩართულობა, სოფლის ავთენტურობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვაში, აუცილებელია გრძელვადიანი მდგრადობისთვის. ადრეული და აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფს, რომ თქვენი ხმა გადაწყვეტილებების მიღებამდე იქნება გათვალისწინებული.



თუ გსურთ მეტი გაიგოთ თქვენს გარემოსდაცვით უფლებებზე, საზოგადოებრივ მონაწილეობაზე და ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების დაცვის გზებზე, იხილეთ შემდეგი დოკუმენტი: სამი ნაბიჯი გარემოს დასაცავად

ALCP.GE/LIBRARY

დაგეგმვა და შესაძლებლობების შეფასება

სოფლად ტურიზმის საქმიანობის დაწყებამდე მნიშვნელოვანია საფუძვლიანი დაგეგმვა და თქვენი რეგიონის ტურისტული კონტექსტის შეფასება. ეს ეტაპი დაგეხმარებათ გააცნობიეროთ არსებული პირობები, გაიგოთ რა მუშაობს და რა – არა, და განსაზღვროთ, როგორ შეიძლება თქვენმა საქმიანობამ დაიკავოს საკუთარი, უნიკალური ადგილი ტურიზმის სექტორში.

- **რა შესაძლებლობები და შეზღუდვები არსებობს ადგილობრივ დონეზე?**
- **ვინ არის თქვენი პოტენციური ვიზიტორი?**
- **რა არის ადგილობრივად უკვე ხელმისაწვდომი?**

შეისწავლეთ თქვენს რეგიონში მოქმედი ტურიზმის ობიექტები. რას სთავაზობენ ისინი? როგორ ახდენენ საქმიანობის პოპულარიზაციას? რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები? რა შეგიძლიათ სტუმრებს შესთავაზოთ რაიმე განსხვავებული ან უფრო ავთენტური.

ბაზრის კვლევის ჩატარება

კონტექსტის შეფასების შემდეგ, გადადით ბაზრის უფრო სტრუქტურირებულ შეფასებაზე:

- **სამიზნე აუდიტორია:** განსაზღვრეთ თქვენი პოტენციური სტუმრები: ასაკი, ინტერესები, სამოგზაურო ჩვევები და მოლოდინები. აუდიტორიის უკეთ ცოდნა დაგეხმარებათ თქვენი მომსახურებების სწორად დაგეგმვასა და ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებაში.
- **კონკურენცია:** შეისწავლეთ თქვენს რეგიონში მოქმედი სოფლად ტურიზმის ობიექტები, მათი შეთავაზებები და საქმიანობის ფორმები. რას სთავაზობენ ისინი? როგორ ახდენენ საქმიანობის პოპულარიზაციას? რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები? რა შეგიძლიათ სტუმრებს შესთავაზოთ რაიმე განსხვავებული ან უფრო ავთენტური
- **საფასო ნიშნული:** გააანალიზეთ თქვენი მსგავსი ტურიზმის ობიექტების ფასები და დაადგინეთ რეალისტური საფასო ნიშნული, რომელიც დაბალანსებს თქვენს ხარჯებსა და სტუმრების გადახდის მზაობას. გაითვალისწინეთ, რომ ფასების დადგენა მოქნილი პროცესია და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი გადახედვა.
- **ტენდენციები:** გაეცანით ტურიზმის მიმდინარე ტენდენციებს. ამ ცოდნის გამოყენება დაგეხმარებათ არ ჩამორჩეთ დროს და მუდმივად განავითაროთ თქვენი ბიზნესი.

ბიზნესგეგმის მომზადება

ბიზნესგეგმის მომზადება დაგეხმარებათ იდეების ორგანიზებასა და თქვენი ტურისტული საქმიანობის საერთო სურათის დანახვაში. გარდა ამისა, ის გამოგადგებათ **გრანტებზე ან სესხებზე განაცხადის დროს** - საჭირო მომენტში მზად გექნებათ მკაფიო და სტრუქტურირებული დოკუმენტი. თქვენი გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- **მოკლე აღწერა:** თქვენი ბიზნეს იდეის, მიზნებისა და მეურნეობის უნიკალური თავისებურებების მოკლე აღწერა.
- **ბაზრის ანალიზი:** მოკლე შეჯამება იმისა, რასაც კვლევის პროცესში გაეცანით — ვინ არიან თქვენი სამიზნე სტუმრები, რა სჭირდებათ მათ და როგორია კონკურენცია.
- **სამოქმედო გეგმა:** თქვენი საქმიანობის ყოველდღიური პროცესების აღწერა. რა მომსახურებებს ან აქტივობებს შესთავაზებთ სტუმრებს? ვინ დაგეხმარებათ? რა ინვენტარი ან სივრცეები იქნება საჭირო? როგორ იქნება ორგანიზებული ეს პროცესი?
- **ფინანსური პროგნოზი:** სავარაუდო საწყისი და მიმდინარე ხარჯები, მოსალოდნელი შემოსავლები. თუნდაც მარტივი პროგნოზი დაგეხმარებათ გაიგოთ, რამდენად რეალისტურია თქვენი იდეა და რა მოცულობის ინვესტიცია შეიძლება დაგჭირდეთ.
- **მარკეტინგული სტრატეგია:** აღწერეთ, როგორ აპირებთ თქვენი სოფლად ტურიზმის შეთავაზებების პოპულარიზაციას. გაითვალისწინეთ სოციალური მედიის გამოყენება, თანამშრომლობა ტურისტულ სააგენტოებთან და სხვა ხელმისაწვდომი არხები.

დანართი 1: მარტივი ბიზნესგეგმა სოფლად ტურიზმის საქმიანობის განხორციელებისთვის



ტურიზმის საქმიანობის დაგეგმვა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობები განაწილებულია. თუ გრძნობთ, რომ ზოგიერთი ამოცანა თქვენი ძლიერი მხარე არ არის - მაგალითად, დიზაინი, კომუნიკაცია ან გაყიდვები - სასურველია ეს პასუხისმგებლობები გადაანაწილოთ ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებზე, რომლებსაც ეს საქმე უკეთესად გამოსდით. ეფექტური დაგეგმვა გულისხმობს ამოცანების იმ ადამიანებზე გადანაწილებას, ვინც მათ საუკეთესოდ გაართმევს თავს.

მარკეტინგი და რეკლამა

სოფლად ტურიზმის წარმატებისთვის მარკეტინგი ისეთივე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, როგორც ფინანსური კაპიტალი ან მომსახურების ხარისხი. კარგი მარკეტინგი საშუალებას გაძლევთ მიიზიდოთ სტუმრები, გააძლიეროთ თქვენი საქმიანობის ხილვადობა და შექმნათ ნდობა. მარკეტინგზე თანხის დახარჯვა არის ინვესტიცია, რომელიც დროთა განმავლობაში მეტ მოგება მოგიტანოთ და ხშირად სწორედ მარკეტინგული აქტივობები განსაზღვრავს, თქვენი ბიზნესი წარმატებული იქნება თუ არა.

კონცენტრირდით იმაზე, როგორ შეამჩნევენ მომხმარებლები თქვენს საქმიანობას, რა გზებით შეძლებთ მათთან კომუნიკაციას და როგორ გამოარჩევს თქვენს შეთავაზებებს სხვებისგან. საფუძვლიანი მარკეტინგი დაგეხმარებათ ეფექტურად განაწილოთ დრო და რესურსები, გაზარდოთ ხილვადობა და მოიზიდოთ ახალი სტუმრები.

სასურველია, საქმიანობის დაწყების ეტაპზევე შეიმუშაოთ მინიმუმ ერთწლიანი მარკეტინგული გეგმა, რომელიც დაგეხმარებათ აქტივობების დაგეგმვასა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში

დანართი 2: მარტივი მარკეტინგული გეგმა სოფლად ტურიზმის საქმიანობის განხორციელებისთვის

მარკეტინგული სტრატეგიისა და მარკეტინგული გეგმის შემუშავება

სტუმრების მოსაზიდად ეფექტურია სხვადასხვა საკომუნიკაციო და მარკეტინგული აქტივობის ერთმანეთთან კომბინირება. აქ არის რამდენიმე მაგალითი:

ცხრილი 1: სარეკლამო აქტივობების მაგალითები

	ონლაინ მარკეტინგი გამოიყენეთ ვებ-გვერდები, სოციალური მედია და ონლაინ ჯავშნის პლატფორმები თქვენი საქმიანობის პოპულარიზაციისთვის
	ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა დაამყარეთ თანამშრომლობა ახლომდებარე ტურისტულ ობიექტებთან. მაგალითად, საოჯახო სასტუმროებთან, მარნებთან ან გიდებთან, რათა მოამზადოთ ერთობლივი მომსახურების პაკეტები ან საერთო მარკეტინგული ღონისძიებები
	**ადგილობრივი ფესტივალები ან ბაზრები** მონაწილეობა მიიღეთ ადგილობრივ ფესტივალებსა და გამოფენებში - მოაწყვეთ პატარა სტენდი ან მაგიდა, სადაც თქვენს პროდუქტებსა და მომსახურებებს წარმოაჩენთ. თან იქონიეთ დაბეჭდილი ფლაერები და სავიზიტო ბარათები
	განსაკუთრებული შეთავაზებები შეთავაზეთ ფასდაკლებები ოჯახებს, ვიზიტორებს ხანგრძლივი სტუმრობის შემთხვევაში ან წინასწარი ჯავშნისას. ასევე შეგიძლიათ შექმნათ პაკეტები, რომლებიც გააერთიანებს განთავსებას, კვებასა და სხვადასხვა აქტივობებს
	ინფლუენსერები და მოგზაური ბლოგერები მიიწვიეთ ბლოგერები, ინფლუენსერები და მოგზაურები. ამ გზით შეძლებთ უფრო ფართო აუდიტორიაზე გასვლას, მათ შორის იმ ადამიანებამდე, რომლებიც სხვა შემთხვევაში თქვენ შესახებ ვერ გაიგებდნენ
	ზეპირი რეკომენდაციები და შეფასებები სთხოვეთ თქვენს სტუმრებს გაგიწიონ რეკომენდაცია მეგობრებთან, ახლობლებთან და დატოვონ ონლაინ შეფასება. ეს გაზრდის ნდობას და დაგეხმარებათ ახალი სტუმრების მოზიდვაში

გახსოვდეთ,
მარკეტინგი გადამწყვეტია!

თქვენ შეიძლება ძალიან კარგი მომსახურება ან პროდუქტი გქონდეთ, მაგრამ მარკეტინგის გარეშე ის შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს და მისი პოტენციალიც ბოლომდე ვერ გამოიყენოთ. ამიტომ აქციეთ მარკეტინგი პრიორიტეტად.

თქვენი ბიზნესის ბრენდინგი

სოფლად ტურიზმის საქმიანობის ბრენდინგი ნიშნავს ისეთი ბრენდის შექმნას, რომელიც იქნება გასაგები და მიმზიდველი თქვენი სამიზნე აუდიტორიისთვის და ასახავს თქვენი საქმიანობის უნიკალურობას. ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე პრაქტიკული რჩევა ბრენდინგის ეფექტურად განვითარებაში დაგეხმარებათ.

შეიმუშავეთ თქვენი ლოგო:

ხშირ შემთხვევაში, ლოგო არის პირველი შთაბეჭდილება თქვენი საქმიანობის შესახებ. იგი თქვენს ბიზნესს აძლევს უნიკალურ ვიზუალურ სახეს და ერთ მარტივ სიმბოლოში აერთიანებს თქვენს ღირებულებებსა და ბიზნესის არსს. შექმენით ლოგო, რომელიც ასახავს თქვენს საქმიანობას, შეინარჩუნეთ მარტივი და დასამახსოვრებელი დიზაინი, რომელიც ეფექტურია ყველგან: აბრაზე, ეტიკეტზე, სოციალურ ქსელებში და ა.შ.

ლოგოს შემუშავებაზე დროისა და ყურადღების დათმობა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სათანადო დიზაინის ლოგო არა მხოლოდ დასამახსოვრებელ პირველ შთაბეჭდილებას ქმნის, არამედ ზრდის ცნობადობასა და ნდობას.

თუ ბიუჯეტი შეზღუდული გაქვთ, ლოგოს შექმნა თავადაც შეგიძლიათ. Google-ში მოძებნეთ „free logo maker online“ და ნახავთ საიტებს, სადაც შეგიძლიათ შეიყვანოთ თქვენი ბიზნესის სახელწოდება, სექტორი და სლოგანი და ეს რესურსები ლოგოს ავტომატურად და სრულიად უფასოდ შექმნის.

მაგალითად: myfreelogomaker.com
ან www.brandcrowd.com

ასევე, შეგიძლიათ ფრილანსერის დაქირავება, რომლის მომსახურება, დიზაინერულ კომპანიასთან შედარებით, უფრო ხელმისაწვდომია.

***ლოგოები მაგალითისთვის* (Behance.net[3])**

[3] *Behance (www.behance.net) ეს არის მსოფლიოში ყველაზე მსხვილი პლატფორმა, სადაც შეგიძლიათ ნახოთ და გაზიაროთ კრეატიული ნამუშევრები.*

შეიმუშავეთ ბრენდის მკაფიო გზავნილი და სლოგანი

ბრენდის გზავნილი და **სლოგანი** მთავარი საშუალებებია, რითაც ადამიანები იგებენ ვინ ხართ, რას წარმოადგენთ და რატომ უნდა გეწვიონ თუ შიეძინონ თქვენი პროდუქტი. **გზავნილი** და **სლოგანი** განსაზღვრავს, თუ როგორ დაინახავენ და დაიმახსოვრებენ თქვენს ბიზნესს.

- **ბრენდის გზავნილი (მესიჯი)** არის მოკლე ინფორმაცია, რომელიც ასახავს თქვენი ბიზნესის ისტორიას, ღირებულებებსა და იდენტობას. იგი აღწერს თქვენს მისიას, ხედვას და იმას, რაც გამოგარჩევთ.
- **სლოგანი** არის მოკლე, ემოციური და მარტივად დასამახსოვრებელი ფრაზა, რომელიც რამდენიმე სიტყვით გადმოსცემს თქვენი ბრენდის არსს.

გზავნილი და სლოგანი შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველა თქვენს სარეკლამო მასალაში — ფლაერებზე, სოციალურ ქსელებში, ვებგვერდზე და სხვაგან. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ერთმანეთს და ნათლად გადმოსცემდნენ თქვენს უნიკალურობას.

დაფიქრდით, თუ რა გამოარჩევს თქვენს ადგილს: მდებარეობა, ტრადიციები, სტუმართმოყვარეობა, საკვები თუ ცხოვრების სტილი? რა გინდათ, რომ სტუმრებმა იგრძნონ — სიმშვიდე, სიხარული თუ ინტერესი? რა გსურთ, რომ სტუმრებმა გაიხსენონ და სხვებს მოუყვნენ? ჩამოწერეთ თქვენი მიგნებები. რამდენიმე წინადადებაც კი დაგეხმარებათ უკეთ დაინახოთ თქვენი იდენტობა და ნათლად გამოხატოთ თქვენი ღირებულებები.

გამოსახულება 1: სოფლად ტურიზმის ობიექტის ფლაერის ნიმუში ბრენდის გზავნილითა და სლოგანით

ციფრული რესურსები: სოც-მედია, ონლაინ პლატფორმები, ვებ-გვერდი

დღევანდელ ციფრულ სამყაროში, ძლიერი ონლაინ პოზიციონირება ნებისმიერი ტურისტული ბიზნესისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ეს გაძლევთ შესაძლებლობას უფრო ფართო აუდიტორიაზე გახვიდეთ და მომავალ სტუმრებთან პირდაპირი კომუნიკაცია გქონდეთ.

მილიონობით ადამიანი, ყოველდღიურად, იყენებს სოციალურ მედიას ახალი ადგილების აღმოსაჩენად და იმის დასაგეგმად თუ როგორ გაატაროს თავისუფალი დრო. ამიტომ, სოციალური მედია წარმოადგენს ძლიერ და ხელმისაწვდომ ინსტრუმენტს, რომელიც შეგიძლიათ წარმატებით გამოიყენოთ სოფლად ტურიზმის აქტივობების პოპულარიზაციისთვის.

იხილეთ დანართი 3: Facebook-ის, Instagram-ისა და YouTube-ის გამოყენება.

Facebook Instagram YouTube

ONLAIN ჯავშნების პლატფორმის გამოყენება

თქვენი ობიექტის ონლაინ ჯავშნის პლატფორმებზე რეგისტრაცია სტუმრების მოზიდვის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ეფექტური გზაა. საქართველოში ყველაზე პოპულარული პლატფორმებია **Booking.com** და **Airbnb**.

Booking.com განსაკუთრებით მორგებულია საოჯახო და პატარა სასტუმროებზე; უზრუნველყოფს მაღალ ხილვადობას საერთაშორისო მოგზაურებისთვის და გაძლევთ მოქნილი გადახდის ვარიანტებს, მათ შორის ნაღდი ანგარიშსწორებითაც.

Airbnb კარგად მუშაობს უნიკალური ტიპის განთავსების ობიექტებზე, როგორიცაა ეკო-კოტეჯები, ფერმერული სახლები და სხვადასხვა მომსახურებები და იზიდავს მოგზაურებს, რომლებიც ნამდვილ, ადგილობრივი გარემოს შეცნობის შესაძლებლობას ეძებენ.

რატომ უნდა გამოიყენოთ ეს პლატფორმები?

- უფრო მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტი
- ნდობის ზრდა სტუმრების უკუკავშირით
- ჯავშნების და კალენდრის უფრო მარტივი მართვა
- უსაფრთხო გადახდების მიღება

როგორ დავიწყოთ?

- შექმენით ანგარიში შესაბამისი პლატფორმის ვებსაიტზე ან აპლიკაციაში.
- ატვირთეთ თქვენი ოთახების, საერთო სივრცეების, ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის ფოტოები. აუცილებელია კარგი განათება და მოწესრიგებული გარემო.
- დაწერეთ დეტალური აღწერილობა - ოთახის მოცულობა, მომსახურება, ახლომდებარე ღირსშესანიშნაობები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია.
- დააწესეთ კონკურენტული ფასი, განსაზღვრეთ საშეღავათო პირობები ხანგრძლივი ვიზიტორებისთვის
- მუდმივად განაახლეთ კალენდარი ორმაგი ჯავშნების თავიდან ასაცილებლად.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ Booking.com და Airbnb მომსახურების სანაცვლოდ საკომისიოს იღებენ. Booking.com, როგორც წესი, მასპინძლებისგან ჯავშნის ღირებულების დაახლოებით 10–20%-ს იკავებს, ხოლო Airbnb-ში საკომისიო ნაწილდება — გარკვეული პროცენტი ეკისრება როგორც მასპინძელს, ასევე სტუმარს. ამიტომ ფასის განსაზღვრისას გაითვალისწინეთ პლატფორმის საკომისიოც.

გჭირდებათ თუ არა ვებსაიტი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური ქსელები შეუცვლელი საშუალებაა მომხმარებლებთან დასაკავშირებლად და სოფლად ტურიზმის პოპულარიზაციისთვის, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარი ვებსაიტის არსებობა. კარგი ვებსაიტი თქვენი ბიზნესის ციფრული სახეა — ადგილი, სადაც სტუმრები მარტივად მოიძიებენ ინფორმაციას თქვენი ბიზნესის, გამოცდილებისა და მომსახურების შესახებ. ის ზრდის თქვენს სანდოობას, წარმოგაჩენთ პროფესიონალურად და უადვილებს ადამიანებს გიპოვონ და გენდონ.

ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲕᲔᲑᲡᲐᲘᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ:

- მაღალი ხარისხის, მიმზიდველი ფოტოები
- თქვენი მომსახურების მკაფიო და დეტალური აღწერა
- განახლებული ფასები და ჯავშნები
- საკონტაქტო ინფორმაცია და მდებარეობა
- მარტივი და მობილურ ტელეფონზე მორგებული დიზაინი

ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ-ᲕᲘᲓᲔᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ:

ჩადეთ ინვესტიცია პროფესიონალურ ფოტოებში, რომლებიც საუკეთესოდ გადმოსცემს თქვენი გარემოს სილამაზეს და ავთენტურობას. ხარისხიანი ფოტოები — სოფლის ყოველდღიურობაზე, სეზონურ აქტივობებზე, ადგილობრივ კერძებსა და კმაყოფილ სტუმრებზე — თქვენს ისტორიას გააცოცხლებს და ტურისტულ საქმიანობას გამორჩეულად წარმოაჩენს.

კარგი ვიზუალური კონტენტი მნიშვნელოვნად აძლიერებს თქვენს მარკეტინგს, ზრდის ნდობას და ეხმარება მომავალ სტუმრებს, ემოციურად დაუკავშირდნენ თქვენს ბრენდს.



როგორ გიპოვონ

მნიშვნელოვანია, რომ სტუმრებს თქვენი პოვნა მარტივად შეეძლოთ — ეს თქვენი ბიზნესის მარტივი, თუმცა აუცილებელი ნაწილია.

აბრა: გაამარტივეთ თქვენი პოვნის პროცესი

მკაფიო და მიმზიდველი აბრა, ნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი სოფლად ტურიზმის ობიექტისთვის. სწორად განთავსებული აბრა ერთდროულად არის გზის მაჩვენებელი, პირველი შთაბეჭდილების შემქმნელი, მისასალმებელი მესიჯი და თქვენი ბრენდის განუყოფელი ნაწილი.

აბრა სტუმრებს ეხმარება, თქვენი ადგილი უსაფრთხოდ და უპრობლემოდ იპოვონ. მკაფიო აბრა ამცირებს დაბნეულობას, აჩვენებს, რომ თქვენი ბიზნესი მზად არის სტუმრების მისაღებად. ხოლო აბრის არქონამ ან არასწორმა განთავსებამ შეიძლება გამოიწვიოს, რომ მომავალი სტუმრები უკან დაბრუნდნენ — განსაკუთრებით მაშინ, თუ ადგილს პირველად სტუმრობენ.

მთავარი აბრის გარდა ასევე რეკომენდებულია მიმართულების მაჩვენებელი ნიშნულების გამოყენება უშუალოდ ობიექტის ტერიტორიაზეც: მიუთითეთ სად არის პარკინგი, სად მდებარეობს სასტუმრო ოთახი, სველი წერტილი ან სად ტარდება აქტივობები.

DIY რეკომენდაცია:

ძვირადღირებულ მასალებში ფულის დახარჯვა აუცილებელი სულაც არ არის. შეგიძლიათ თავად დაამზადოთ ლამაზი და ეფექტური ნიშნული ხის მასალისგან, ხელით მოხატული წარწერით და მარტივი ხელსაწყოებით. გამოიყენეთ წყალგამძლე საღებავი და დარწმუნდით, რომ წარწერა მკაფიოა და შორიდანაც ადვილად იკითხება. თუ საჭიროა დაამატეთ ისარი, ხოლო დეკორად გამოიყენეთ პატარა ადგილობრივი სიმბოლიკები (მაგალითად, ვაზი, ცხოველი ან მზის სიმბოლო).

ნიშნული განათავსეთ თვალშისაცემ ადგილებში: გზისპირას, შესასვლელთან და ტერიტორიის შიგნითაც, რათა სტუმრებმა მარტივად იპოვონ ყველაფერი, რაც სჭირდებათ.

გახსოვდეთ:

კარგი აბრა მასპინძლობის ნაწილია.
ის სტუმრებს იქამდე ეგებება, ვიდრე თქვენ „გამარჯობას“ ეტყვით.

დაამატეთ თქვენი ბიზნესი Google Maps-ზე

Google Maps-ში თქვენი ობიექტის დამატება მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილის ხილვადობას. მოგზაურები, რომლებიც ახლომდებარე ღირსშესანიშნაობებს ეძებენ, თქვენც მარტივად აღმოგაჩენენ.
ეხილეთ დანართი 4: Google Maps-ზე ობიექტის დამატება



Figure 2: Google Maps-ზე დამატული სასტუმროს მაგალითი

Figure 3: ხელნაკეთი აბრის ნიმუში

იდეები სოფლად ტურიზმისთვის[4]

მაგალითი 1: ფერმერული ცხოვრება იმერეთში

იმერეთში მდებარე „ბებოს ფერმა“ გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ ტრადიციული ყველის დამზადებაში და გამოსცადოთ ნამდვილი სოფლის ცხოვრება.

დაიწყეთ დილა ძროხის მოწველით, შემდეგ მასპინძლებთან ერთად იმერული ყველი მოამზადეთ. გამოაცხვეთ პური და ხაჭაპური ტრადიციული მეთოდებით და მოამზადეთ ადგილობრივი კერძები ფერმის პროდუქტებით. გაისეირნეთ თვალისმომჭრელ საძოვრებზე და ისიამოვნეთ საკუთარი ხელით მომზადებული კერძებით.

საღამოს კი დარჩით მყუდრო სოფლის სახლში — მოუყევით ერთმანეთს ისტორიები ქართული სუფრის ირგვლივ, მოისვენეთ ბუხართან ან იმერეთის ღია ცის ქვეშ.

მაგალითი 2: ეკოტური სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთში მდებარე საოჯახო სასტუმრო „მესხეთი“ გთავაზობთ ეკოტურებს ახლომდებარე ჭაობიან ზონებში, სადაც ულამაზეს ვარხვებს (პელიკანებს) იხილავთ.

ადრეული დილის ფრინველებზე დაკვირვების ტური მოიცავს სადამკვირვებლო პუნქტებს და ბუნების ლამაზი ფოტოების გადაღების შესაძლებლობებს. ტური გრძელდება ველური მცენარეების მოძიებით. სტუმრები აგროვებენ სამკურნალო და არომატულ ბალახებს, რის შემდეგაც უკვე სასტუმროში მოეწყობა ჩაის მომზადების სესია.

გახანგრძლივებული ტურის შემთხვევაში, პროგრამას ემატება ტბაზე თევზაობა ადგილობრივებთან ერთად და სოკოს შეგროვება.

სხვა მაგალითები

- ეზოში საქორწილო ცერემონიის მასპინძლობა
  უმასპინძლეთ დღესასწაულებს ადგილობრივი კერძებითა და ტრადიციული სოფლის სტუმართმოყვარეობით
- ყველის მომზადების მასტერკლასები
  ჩატარეთ პრაქტიკული მასტერკლასი, სადაც სტუმრები თავად შეძლებენ ტრადიციული ყველის მომზადებას

[4] *მოცემული იდეები რეალური ბიზნესები არ არის. ისინი უბრალოდ გვიჩვენებს, რა შესაძლებ-ლობები არსებობს საქართველოში სოფლად ტურიზმში და როგორ შეიძლება მათი განხორციელება.*

მაგალითი 3: მეაბრეშუმეობა კახეთში

ეწვიეთ ზემო ალვანის სოფელს აბრეშუმის ჭიის სეზონზე (მაისი–ივნისი) და ჩაერთეთ საქართველოში აბრეშუმის დამზადების უძველესი ტრადიციის აღდგენაში.

შემოუერთდით ადგილობრივ ქალებს, რომლებიც კვებავენ და უვლიან აბრეშუმის ჭიებს, დააკვირდით აბრეშუმის პარკის გამოკრეფის შთამბეჭდავ პროცესს და ისწავლეთ აბრეშუმის ხელით დამზადება. გამოცადეთ აბრეშუმის ძაფის დართვის ან ბუნებრივი საღებავებით შეღებვის პროცესი.

ეს უნიკალური ტური გაძლევთ იშვიათ შესაძლებლობას, შეეხოთ თითქმის მივიწყებულ მემკვიდრეობას, რომელსაც ადგილობრივი ქალები, თავისი ცოდნითა და მონდომებით, ისევ აცოცხლებენ.

მაგალითი 4: ფუტკრების ცხოვრება გურიაში

ეწვიეთ საფუტკრეს გურიაში და შეაბიჯეთ ფუტკრების სამყაროში. გაიგეთ, თუ როგორ ცხოვრობენ ფუტკრები, ახლოდან დააკვირდით თაფლის მომზადების პროცესს. მოირგეთ მეფუტკრის ტანსაცმელი, გახსენით სკა და პირდაპირ დააგემოვნეთ ფიჭიანი თაფლი. ისწავლეთ თუ როგორ მოამზადოთ სამკურნალო საშუალებები სახლის პირობებში თაფლის, დინდგელის, ცვილისა და ფუტკრის მტვრის გამოყენებით (მაგ, სამკურნალო მალამოები, ტუჩის ბალზამი ან თაფლისა და ლიმონის სიროფი ყელის ტკივილისთვის).

საღამოს კი დაგხვდებათ ბალახეულის ჩაი, თაფლის ტკბილეული და სანთლის შუქზე მოყოლილი ხალხური ამბები — იდეალური გამოცდილება ბუნებასთან სიახლოვის მოყვარულთათვის.

სხვა მაგალითები

- ფოლკლორის საღამო ხევსურეთში
  ერთად იმღერეთ, იცეკვეთ და მოისმინეთ სოფლის ისტორიები — ნამდვილ ხევსურულ გარემოში, ადგილობრივებთან ერთად.
- ბუნების ფოტოგრაფიის ტური ლაგოდეხში
  გადაიღეთ ველური ბუნება, ფრინველების მიგრაცია, ჩანჩქერები და უძველესი ტყეები ადგილობრივი ფოტოგრაფის მეგზურობით.

თქვენი პოტენციური პარტნიორები

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA - ბმული) მთავარი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც ტურიზმის სფეროს განვითარებას უჭერს მხარს. ის ქმნის მდგრადი ტურიზმის პოლიტიკას, ხელს უწყობს ქვეყანაში მეტი სტუმრის მოზიდვასა და სოფლის ტურიზმის პროექტების განვითარებას. GNTA დაგეხმარებათ მიიღოთ ტრენინგები და საჭირო რესურსები, მოხვდეთ ეროვნულ მარკეტინგული პლატფორმებზე და თქვენი ტურისტული სერვისები საქართველოს ტურისტულ ქსელში ინტეგრირდეს.

აწარმოე საქართველოში (ბმული) არის სახელმწიფო სააგენტო, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას და ექსპორტს. სააგენტო გთავაზობთ დაფინანსების პროგრამებს, ტრენინგებსა და მხარდაჭერას მცირე ბიზნესის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის. ამ უწყების შესახებ უნდა იცოდეს ყველამ, ვინც საქართველოში სოფლად ტურიზმის დაწყებას ან გაფართოებას გეგმავს.

მუნიციპალური ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერაში. ადგილობრივი ხელისუფლება ხელს უწყობს ინფრასტრუქ-ტურაზე წვდომას, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებში მონაწილეობასა და ჩართულობას. თვითმმართველობასთან თანამშრომლობა ზრდის თქვენს ცნობადობას, უზრუნველყოფს სოფლის განვითარების დაგეგმვაში ჩართულობასა და რესურსებზე წვდომას ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის სფეროებში.

"ქალთა ოთახები" (ბმული) მუნიციპალიტეტების შენობებში მოქმედი ადგილობრივი მხარდაჭერის ცენტრებია, რომელიც მოსახლეობას ინფორმაციაზე წვდომას, ტრენინგებსა და მცირე გრანტებს სთავაზობს, ასევე, ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას განვითარების პროცესებში. "ქალთა ოთახი" დაგეხმარებათ ბიზნეს უნარების განვითარებაში, საჭირო რესურსების მოძიებასა და ადგილობრივ დონეზე კომუნიკაციაში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA - ბმული) პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვაზე. სამინისტროს სხვადასხვა პროგრამები უზრუნველყოფენ ტრენინგებს, გრანტებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. MEPA ასევე ხელს უწყობს ეკოლოგიურ და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი მიდგომების ინტეგრირებას ტურიზმის საქმიანობაში.

საქართველოს დაცულ ტერიტორიათა სააგენტო (APA - ბმული) მართავს ქვეყნის ყველა დაცულ ტერიტორიას და მუშაობს ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვაზე. სააგენტოს საქმიანობა მჭიდროდ დაკავშირებულია სოფლად ტურიზმთან. ის ხელს უწყობს მდგრად ტურისტულ პრაქტიკებს, მხარს უჭერს ტრადიციულ სოფლის მეურნეობას და ქმნის დასასვენებელ და რეკრეაციულ შესაძლებლობებს. სააგენტოს ვებსაიტზე მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა დაცული ტერიტორიების სრული ჩამონათვალი, ადგილობრივი სასტუმროები, ეკოტურისტული ბილიკები და თითოეული ტერიტორიისთვის განკუთვნილი გიდები.

დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) - ადგილობრივი, არაკომერციული გაერთიანება, რომელიც იქმნება მუნიციპალიტეტებისა და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების თანამშრომლობით. მისი მიზანია კონკრეტული ტურისტული რეგიონების განვითარება და პოპულარიზაცია. DMO-ები მნიშვნელოვნად ეხმარება ადგილობრივ ბიზნესებს - აკავშირებს მათ ფართო ქსელებთან, პოპულარიზაციას უწევს ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს და ხელს უწყობს მდგრადი ტურიზმის განვითარებას.

არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები, რომლებიც დაფინანსებას, ტრენინგებსა და მხარდაჭერას უზრუნველყოფენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლად ტურიზმის განვითარებაში. ისინი ხშირად ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც მიმართულია მდგრადობაზე, ქალთა მეწარმეობის განვითარებაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მწვანე ეკონომიკის გაძლიერებაზე. პლატფორმა projects.org.ge კი გთავაზობთ განახლებულ ინფორმაციას საქართველოს მასშტაბით მოქმედ დონორ პროგრამებსა და ხელმისაწვდომ შესაძლებლობებზე.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საუკეთესო წყაროა სოფლად ტურიზმის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაძიებლად. ადმინისტრაციის ონლაინ ბიბლიოთეკაში რეგულარულად იტვირთება განახლებული კვლევები და საინფორმაციო მასალები.

აუცილებლად ეწვიეთ ვებგვერდს: GNTA.GE/Library

უსაფრთხოება

სტუმრების, თანამშრომლების და ცხოველების უსაფრთხოება აუცილებელია ნებისმიერი სოფლად ტურიზმის საქმიანობისთვის. ტურიზმში ჩართული ფერმერული მეურნეობები და საოჯახო სასტუმროები ვალდებულნი არიან დაიცვან მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა, წინასწარ შეაფასონ შესაძლო რისკები და უზრუნველყონ მაღალი უსაფრთხოების სტანდარტები.

ფერმერული მეურნეობის შიდა უსაფრთხოება

შენობები უნდა შეესაბამებოდეს მშენებლობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებს. ეს მოიცავს ბუნებრივ და ტექნოგენურ საფრთხეებთან დაკავშირებულ წესებს, ასევე სურსათის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტებს. რისკების უკეთ მართვისთვის, რეკომენდებულია სადაზღვევო კომპანიებთან კონსულტაცია ბიზნესისა და ინფრასტრუქტურის დაზღვევის შესახებ. ეს შეამცირებს პასუხისმგებლობის რისკებს და დაგეხმარებათ მნიშვნელოვანი რეგულაციების სწორად დაცვაში.

ძირითადი რეკომენდაციები:

6	დარწმუნდით, რომ სასეირნო ბილიკებზე არ არის მოცურების რისკი და არის საკმარისი განათება, განსაკუთრებით საღამოს საათებში ან წვიმიან ამინდში
5	ფერმის ცხოველები განაცალკევეთ სტუმრების ზონიდან. ცხოველთან პირდაპირი კონტაქტი დასაშვებია მხოლოდ მასპინძლის, თანამშრომლის ან გიდის ზედამხედველობით ქვეშ
2	საინფორმაციო აბრებით აცნობეთ სტუმრებს ცხოველების ქცევის თავისებურებების, შეზღუდული ზონებისა და მოქმედი საერთო წესების შესახებ.
4	უზრუნველყავით პირველადი დახმარების ყუთის ხელმისაწვდომობა სტუმრებისთვის განკუთვნილ ყველა სივრცეში
3	დააყენეთ სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი (მაგ. ცეცხლმაქრი, ნიჩაბი, წყლის კასრი) თითოეულ შენობაში.
1	გამოყავით ერთი ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტუმრების უსაფრთხოებაზე და ეცოდინება ხელსაწყოების - პირველადი დახმარების ყუთის, ცეცხლმაქრის და სხვა ინვენტარის - გამოყენება საგანგებო შემთხვევებისას.

გამოსახულება 4: სოფლად ტურიზმის ობიექტის შიდა უსაფრთხოების ძირითადი რეკომენდაციები

გარე აქტივობების უსაფრთხოება

ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ტყესთან ახლოს ან მოშორებით ტერიტორიებზე მდებარეობს, ველურ ცხოველებს იზიდავენ. ტურისტებისთვის ეს საინტერესოც კია, თუმცა გარკვეულ რისკებსაც ქმნის. გიდებმა და სტუმრებმა უნდა იცოდნენ როგორ მოიქცნენ ველურ ცხოველებთან შეხვედრის შემთხვევაში.

ველურ ცხოველებთან შეხვედრის გზამკვლევი

მგელი / ტურა

ხმამაღლა იყვირეთ, დაიკავეთ დიდი სივრცე, გადააგდეთ ქვა ცხოველთან ახლოს, მაქსიმალურად გამოაჩინეთ თქვენი ფიზიკური უპირატესობა, თითოეული მოძრაობით აჩვენეთ თქვენი ძალა.

დათვი

სიმშვიდე შეინარჩუნეთ და არ გაიქცეთ. სწრაფი მორბენალიც კი ვერ გაექცევა დათვს მოკლე დისტანციაზე. მაქსიმალურად გამოაჩინეთ თქვენი ფიზიკური გაბარიტები, დააფრთხეთ ცხოველი ხელის მოძრაობებით და ხმამაღლა ყვირილით. არ დაწვეთ მიწაზე, ვინაიდან ასეთი ქცევა ცხოველის ინტერესს აღძრავს და საფრთხეც იზრდება.

გველი

სიმშვიდე შეინარჩუნეთ, ეცადეთ ფრთხილად და ნელა გაეცალოთ, ზურგი არ შეაქციოთ, სანამ გველიდან 1–2 მეტრით მოშორებული არ იქნებით.

ირემი

სიმშვიდე შეინარჩუნეთ და ფრთხილად გაეცალეთ. ირემი ადამიანს იშვიათად ერჩის, და ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ცხოველი თავს იცავს და ადამიანის ქმედება საფრთხეს უქმნის.

დანართი 1:

მარტივი ბიზნესგეგმა სოფლად ტურიზმის საქმიანობისთვის

1. მოკლე აღწერილობა

მოკლედ აღწერეთ თქვენი ბიზნესის კონცეფცია, მიზნები და ის, რაც თქვენს ფერმერულ მეურნეობას ან სოფელს უნიკალურს ხდის.

მაგალითი: ჩვენი საოჯახო სასტუმრო მაღალმთიანი აჭარის სოფელში, სტუმრებს სთავაზობს ავთენტურ გამოცდილებას, როგორიცაა ადგილობრივი სამზარეულოს მასტერკლასები და ბუნებაში გასეირნება. ჩვენი მიზანია მოვიზიდოთ ეკოტურისტები და ეთნო კულტურით დაინტერესებული მოგზაურები, რომლებიც ნამდვილ, სოფლად გამოცდილებას ეძებენ.

2. ბაზრის ანალიზი

მოკლედ აღწერეთ კვლევის შედეგები: მიზნობრივი ჯგუფები, მათი ინტერესები და არსებული კონკურენცია.

მაგალითი: ჩვენი სტუმრები ძირითადად არიან ოჯახები, ბუნების მოყვარულები და ადგილობრივი კულტურით დაინტერესებული ტურისტები როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. ჩვენი მთავარი კონკურენტები ახლომდებარე საოჯახო სასტუმროებია, თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმე სთავაზობს ადგილობრივი კერძების მომზადების მასტერკლასებს, ამიტომ ეს მიმართულება ჩვენი მნიშვნელოვანი უპირატესობაა.

3. სამოქმედო გეგმა

აღწერეთ თქვენი ბიზნესის ყოველდღიური მუშაობა. მაგალითად:

- მომსახურებები: განთავსება, გიდთან ერთად ტურები, კულინარიული მასტერკლასები
- პერსონალი: ოჯახის წევრები და სეზონურად 1 ადგილობრივი გიდი
- ინფრასტრუქტურა: ტრადიციული სახლი სასტუმრო ოთახებით, ღია სამზარეულოს სივრცე და ბოსტანი

4. ფინანსური პროგნოზი

მიახლოებითი საწყისი და მიმდინარე ხარჯები და მოსალოდნელი შემოსავალი. მაგალითი:

კატეგორია	დეტალები	თანხა (GEL)
საწყისი ხარჯები	სახლის შეკეთება	10,000
	ავეჯი	3,000
	პირველადი მარკეტინგი	1,000
საწყისი ხარჯი ჯამში		14,000
თვიური ხარჯი	კომუნალურები, ხელფასები, საკვები მარაგი (მიახლოებითი)	800
მიახლოებითი შემოსავალი	3 ოთახი × 60 GEL/ღამე × 70% დატვირთვა (21 ღამე/თვე)	3,780
წმინდა თვიური შემოსავალი	შემოსავალი (3,780) - ხარჯები (800)	2,980

5. მარკეტინგული სტრატეგია

აღწერეთ, თუ როგორ აპირებთ თქვენი ბიზნესის პოპულარიზაციას. მაგალითი:

- Instagram-სა და Facebook-ზე ისტორიებისა და ფოტოების გაზიარება
- აჭარის ეკოტურიზმის ასოციაციებთან თანამშრომლობა
- ბათუმის ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობა
- რეგიონულ ტურისტულ გამოფენებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა

დანართი 2:

მარტივი მარკეტინგული გეგმა სოფლად ტურიზმის საქმიანობისთვის

1. მოკლე აღწერილობა

მოკლე მიმოხილვა თქვენი ფერმის, ხედვის და მარკეტინგული გეგმის მიზნების შესახებ.
მაგალითი: ჩვენი საოჯახო სასტუმრო კახეთში სტუმრებს ავთენტურ სოფლის გამოცდილებას სთავაზობს, რაც მოიცავს ღვინის დეგუსტაციას, ქვევრის ღვინის დამზადებას და სეზონურად მოსავლის აღებაში მონაწილეობას. ამ მარკეტინგული გეგმის მიზანია გაზარდოს ვიზიტორების რაოდენობა გაზაფხულსა და შემოდგომაზე და გააუმჯობესოს ცნობადობა ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობისა და ონლაინ მარკეტინგის გზით.

2. ბაზრის ანალიზი

- სამიზნე აუდიტორია: ეკოტურისტები, მოგზაურები, კულინარიის მოყვარულები (25-60 წელი)
- ტენდენციები: იზრდება მოთხოვნა ღვინის ტურიზმზე და „ფერმიდან-სუფრამდე“ გამოცდილებაზე
- კონკურენტები: ადგილობრივი საოჯახო სასტუმროები მსგავსი მომსახურებებით
- თქვენი უპირატესობა: ქვევრის ღვინის მასტერკლასები, ტრადიციული სამზარეულო და ვენახის მშვენიერი ხედები

3. მარკეტინგული მიზნები

- მომდევნო 12 თვის განმავლობაში უქმე დღეებში ჯავშნების 25%-ით ზრდა
- Instagram-ზე 1,000 მიმდევრის მოზიდვა დეკემბრამდე
- 3 სეზონური ღონისძიების ჩატარება ამ წლის განმავლობაში
- 5 ადგილობრივ ტურისტულ სააგენტოსთან პარტნიორობა

4. მარკეტინგული სტრატეგიები

- Instagram და Facebook-ის გამოყენება სეზონური ფოტოებისა და სტუმრების ისტორიების გასაზიარებლად
- ადგილობრივ ტუროპერატორებთან და ეკოტურისტულ ქსელთან თანამშრომლობა
- კულინარიული მასტერკლასებისა და ღვინის დეგუსტაციის მოწყობა სეზონებს შორის პერიოდში
- ადგილობრივ ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა

5. ბიუჯეტი

აქტივობა	მიახლოებითი ხარჯი (GEL)
სოციალური მედია რეკლამა	600 GEL/წელი
ფლაერების/პოსტერების ბეჭდვა	300
ვებსაიტის განახლება	500
ფოტოგრაფის მომსახურება	400
3 ღონისძიების ჩატარება (მასალები, საკვები)	1,200
ჯამი	3,000

6. მონიტორინგი & შეფასება

- თვიური ჯავშნების მონიტორინგი
- სოციალური მედიის მონიტორინგი (მოწონებები, კომენტარები, გაზიარებები)
- სტუმრების უკუკავშირის შეგროვება
- შეცვალეთ გეგმა კვარტალურად, იმის მიხედვით თუ რა მუშაობს და რა არა

დანართი 3:

Facebook, Instagram და YouTube-ის გამოყენება

FACEBOOK გვერდი: დაიწყეთ Facebook-ზე ბიზნეს გვერდის შექმნით. შეარჩიეთ სახელი, რომელიც თქვენს საქმიანობას ან მომსახურებას ასახავს.

ხარისხიანი ფოტოები: პროფილისა და გარეკანისთვის გამოიყენეთ მაღალი ხარისხის ფოტოები, რომლებიც ასახავენ თქვენს ბიზნესს, აქტივობებს და მიმდებარე გარემოს.

საკონტაქტო ინფო: "თქვენ შესახებ" სექციაში მიუთითეთ ტელეფონი, ელ.ფოსტა და ვებსაიტის ბმული, რათა სტუმრები მარტივად დაგიკავშირდნენ.

რეგულარული პოსტები: გამოაქვეყნეთ პოსტი კვირაში მინიმუმ ერთხელ, ლამაზი ფოტოებითა და მიმზიდველი ტექსტით, რომელიც ასახავს ბიზნესის ყოველდღიურობას, ღონისძიებებს ან სპეციალურ შეთავაზებებს.

აუდიტორიის ჩართულობა: სწრაფად უპასუხეთ კომენტარებსა და შემოსულ შეტყობინებებს. .შეანაცვლეთ პოსტების ფორმატი: განათავსეთ მოკლე ვიდეოები, დაიწყეთ პირდაპირი ჩართვები და კითხვა-პასუხის სესიები. გამოიყენეთ გამოკითხვები, დასვით კითხვები, რათა წაახალისოთ ჩართულობა.

ვიზუალური თხრობა შექმენით Instagram პროფილი: განათავსეთ ლოგო და ინფორმაცია, თქვენი უნიკალური შეთავაზებების შესახებ.

გამოსახულების ხარისხი: რეგულარულად გამოაქვეყნეთ მაღალი ხარისხის ფოტოები, რომლებიც ბიზნესის აქტივობებს, ლანდშაფტებსა და სტუმრების გამოცდილებას ასახავს.

წარწერები განთავსებულ ვიზუალურ მასალას გაუკეთეთ მოკლე და საინტერესო აღწერები, დასვით კითხვები ან სთხოვეთ გამომწერებს, რომ მონიშნონ მეგობრები ჩართულობის გასაზრდელად.

Instagram იდეალურია თქვენი ბიზნესის ვიზუალური წარმოჩენისთვის

შექმენით არხი: მიუთითეთ სახელი და განათავსეთ შესაბამისი ლოგო და ბანერი.

ვიდეო კონტენტი: მოამზადეთ ვიდეოები, რომლებიც ასახავენ აგრო/ეკო ტურებს ან სტუმრების გამოცდილებას.

ატვირთეთ რეგულარულად: ატვირთეთ ვიდეო თვეში მინიმუმ ერთხელ, რომ შეინარჩუნოთ აუდიტორიის ინტერესი და ჩართულობა.

დანართი 4:

Google Maps-ზე ობიექტის დამატება

ეტაპი 1: **შექმენით Google-ის ანგარიში**	თუ ჯერ არ გაქვთ, შექმენით Google–ის ანგარიში. ეს საშუალებას მოგცემთ მარტივად მართოთ თქვენი ბიზნესის ინფორმაცია Google-ზე.
ეტაპი 2: **შედით Google My Business**	შედით Google My Business ვებსაიტზე. დააჭირეთ “Manage now” პროცესის დასაწყებად.
ეტაპი 3: **შეიყვანეთ ინფორმაცია ბიზნესის შესახებ**	▶ შეიყვანეთ თქვენი ტურისტული ობიექტის სახელი, რომელიც Google Maps-ზე უნდა გამოჩნდეს. ▶ ბიზნეს კატეგორია: აირჩიეთ თქვენი საქმიანობის შესაბამისი კატეგორია ▶ მდებარეობა: მიუთითეთ თქვენი ზუსტი მისამართი.
ეტაპი 4: **საკონტაქტო ინფორმაცია**	▶ ტელეფონის ნომერი: მიუთითეთ საკონტაქტო ▶ დაამატეთ თქვენი ვებსაიტის ბმული, თუ გაქვთ. თუ არა, სამომავლოდ აუცილებლად შექმენით, რომ სტუმრებს მეტი ინფორმაცია მიაწოდოთ.
ეტაპი 5: **დაადასტურეთ ბიზნესი**	▶ ინფორმაციის შეყვანის შემდეგ, Google მოგთხოვთ ბიზნესის დადასტურებას. დადასტურება ხშირად ხდება საფოსტო წერილის გამოგზავნით თქვენს მისამართზე, სადაც მითითებულია დადასტურების კოდი. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ტელეფონით ან ელ-ფოსტითაც მოხდეს დადასტურება.
ეტაპი 6: **გაუმჯობესეთ თქვენი პროფილი**	▶ ატვირთეთ ხარისხიანი ფოტოები, რომლებიც თქვენს ბიზნესს წარმოაჩენს. ▶ მიუთითეთ სამუშაო საათები, რათა სტუმრებმა იცოდნენ, როდის შეძლებენ თქვენთან დაკავშირებას. ▶ დაამატეთ თქვენს ობიექტის მოკლე აღწერა.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია „კავკასიის ალიანსების პროგრამა 2“-ის (ALCP2) მიერ, რომელიც წარმოადგენს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტს ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და შვედეთთან თანამშრომლობით. პროგრამა ხორციელდება მერსი ქორფსი საქართველოს მიერ.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის, შვედეთის ან მერსი ქორფსი საქართველოს შეხედულებებს.

ALCP Alliances Caucasus 2
REGIONAL MARKET ALLIANCES IN THE SOUTH CAUCASUS

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

With funding from
Austrian Development Cooperation

შვედეთი
Sverige

MERCY CORPS